

F-171  
1980



საქართველოს სსრ განათლების მინისტრო

**გ რ ა ქ ა ნ ე ბ ა ტ ა  
და  
ი ნ ს ტ რ უ ქ ი ა ტ ა  
ქ რ ე ბ უ ლ ი**

თბილისი  
1980

ი ა ნ ვ ა რ ი **№ 1** Я Н В А Р Ъ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**СБОРНИК  
ПРИКАЗОВ  
И**

**ИНСТРУКЦИЙ**

ТБИЛИСИ  
1980

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
1979 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება



მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური  
ოლიმპიადის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოის-  
მინა და განიხილა რა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების IX  
რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები, გადაწყვიტა:

1. ცნობა — „მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების IX  
რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ“ — დაეგზავნოს  
აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ  
ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების გან-  
ყოფილებებს.

1.1. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება  
ჩატარდეს ტრადიციულად 2 წელიწადში ერთხელ.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-  
რეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყო-  
ფილებათა გამგეებმა:

2.1. ღრმად გააანალიზონ ადგილებზე ჩატარებული ოლიმპია-  
დების შედეგები და დასახონ პრაქტიკული ზომები მოსწავლეთა  
მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობაში არსებული  
ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მკაცრად დაიცვან ოლიმპიადის  
დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

2.2. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლებში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ერთიანი სისტემის  
შექმნას, მხატვრული თვითმოქმედების გეგმაზომიერ განვითარებას.  
მიაღწიონ იმას, რომ ოლიმპიადისათვის მზადება იყოს თანმიმდევ-  
რული და ქმნიდეს ბავშვთა შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის გან-  
ვითარების რეალურ შესაძლებლობას;

2.3. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ზოგადსაგანმანა-  
თლებლო სკოლებში მხატვრული თვითმოქმედების წრეების ხელ-  
მძღვანელთა კადრების შერჩევისა და დანიშვნის საკითხს. სისტემა-  
ტურად იზრუნონ მათი პროფესიული დონის ამაღლებისა და სამუ-  
შაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

F-4770

ქ. ბარათის სსრ. სსრ.  
სსრ. სსრ.



3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

— უზრუნველყონ მხატვრული თვითმოქმედების მასობრივობა და ენროობრივი მრავალფეროვნება. შექმნან სათანადო პირობები მხატვრულ-შემოქმედებითი წრეების ნორმალური მუშაობისათვის. გააძლიერონ კონტროლი და მომთხოვნელობა მათი საქმიანობისადმი, გახადონ იგი პედაგოგიური საბჭოების მსჯელობის საგნად.

4. მოსწავლეთა X რესპუბლიკური ოლიმპიადის მომზადება და ჩატარება დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს (ამხ. თ. მდივანი). მასვე დაევალოს 1980 წლის 1 მარტისათვის წარმოადგინოს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების კონკრეტული გეგმა, გადაამუშაოს და გამოსაცემად მოამზადოს სიმღერა-მუსიკის I-III კლასების სახელმძღვანელოები.

5. დაევალოს სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველოს (ამხ. ნ. ლლონტი) 1981 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს სიმღერა-მუსიკის სახელმძღვანელოს გამოცემა.

6. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს (ამხ. მ. დარჩია) არსებული წესის შესაბამისად უზრუნველყოს ესთეტიკური ციკლის საგნების მასწავლებლებისა და მხატვრული წრეების ხელმძღვანელებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და სემინარების სისტემატური ჩატარება.

7. აღინიშნოს ქ. რუსთავის, წყალტუბოს, ჭიათურის, აბაშის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, მარნეულის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა თვითმოქმედი კოლექტივების მომზადების დაბალი დონე.

8. რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულების მოთხოვნათა დარღვევის, სარეპერტუარო კომისიის გადაწყვეტილების უგულვებელყოფისა და თვითნებობისათვის ქ. ბათუმის მე-2 და ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლების ქორეოგრაფებს თ. კილაძეს და გ. ტულუშს გამოეცხადოთ საყვედური.

9. დაევალოს ვაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ რესპუბ-



ლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილება, მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის პრობლემატურ საკითხებს.

10. აღინიშნოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის (ამხ. თ. ჟღენტის) ნაყოფიერი მუშაობა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

11. დაისვას საკითხი:

ა) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე, რომ ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო და შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტების სტუდენტებს სასწავლო პრაქტიკად ჩაეთვალოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომღერალთა გუნდების, დრამატული, მხატვრული კითხვის წრეების ჩამოყალიბება;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე — პროპაგანდა გაუწიოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გამოვლენილ მოსწავლეთა საუკეთესო თვითმოქმედ კოლექტივებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს.

12. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს მოამზადოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად საკითხი „სკოლებში სიმღერა-მუსიკის სწავლების ქორეოგრაფიული ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

13. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი

ო. ქინკლაძე



საქართველოს სსრ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების  
IX რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1977 წლის 14 სექტემბრის დადგენილების შემდეგ, რომელიც გამომდინარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 26 აპრილის № 275 დადგენილებიდან „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხატვრული თვითმოქმედების IX ოლიმპიადის ჩატარების შესახებ“, ფართო მუშაობა იქნა გაშლილი რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტის, საოლიმპიადო შტაბისა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მიერ, რომელთაც ზემოაღნიშნული დადგენილებით დაევალებათ ოლიმპიადის მომზადება-ჩატარება. ოლიმპიადს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავსა და ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა.

გაიშალა ფართო ორგანიზაციული საქმიანობა, დროულად დაიბეჭდა და დაიგზავნა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში დებულებები ოლიმპიადის ჩატარების შესახებ. ადგილებზე კონსულტაციების ჩასატარებლად მივლინებულ იქნენ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები და სპეციალისტები, მათი დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით ყველა რაიონსა და ქალაქში შეიქმნა ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები, სადაც, ძირითადად, შეყვანილ იქნენ საქმის მცოდნე სპეციალისტები და რაიონის აქტივის წარმომადგენლები, რომელთაც ფართო ახსნა-განმარტებითი ხასიათის მუშაობა გასწიეს ოლიმპიადის მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.

ოლიმპიადა ჩატარდა სამ ეტაპად:

1. შიდა სასკოლო;
2. რაიონული, საქალაქო, საოლქო;
3. დასკვნითი — რესპუბლიკური.

მოსწავლეთა მიმდინარე IX რესპუბლიკური ოლიმპიადა გამოირჩეოდა მასში მონაწილე კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემ-

სრულებელთა სიმრავლით, ქანრებისა და რეპერტუარის მრავალფეროვნებით, იდეური სრულყოფით, თანამედროვეობით. ოლიმპიადამ გამსჭვალული იყო დიდი ინტერნაციონალური სულისკვეთებით. აქ ფართოდ გამოჩნდა ის საქმიანობა, რასაც სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, განათლების ორგანოები, კომკავშირი ატარებს მოსწავლეთა კომუნისტური და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, ფართოდ აისახა სკკპ XXV, საქართველოს კომპარტიის XXV, საკავშირო ალკკ XVIII, საქართველოს კომკავშირის XXXI, მასწავლებელთა საკავშირო და რესპუბლიკურ ყრილობებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელების გზები, ნათლად გამოიკვეთა მოსწავლე-ახალგაზრდობის სამშობლოსადმი სიყვარული, ერთგულება და თავდადების სულისკვეთება, ის დიდი იდეურობა და ზნეობრივი სიწმინდე, რისთვისაც უკანასკნელ წლებში, იბრძვის საქართველოს კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი.

ოლიმპიადას ფართოდ გამოეხმაურნენ მწერლები, კომპოზიტორები, რეჟისორები, მხატვრები, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია, დაიწერა მრავალი ახალი ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები და მრავალი სხვა. საგრძნობლად გამოცოცხლდა ბავშვთა თვითმოქმედი წრეებისა და კოლექტივების საქმიანობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა სკოლების ხელმძღვანელობასთან ერთად შემოქმედებითად, დიდი მონღომებითა და ენთუზიაზმით მოემზადა. ამ მასშტაბურმა ღონისძიებამ პირველ ეტაპზე რესპუბლიკის ყველა ქალაქი და რაიონი მოიცვა. შიდა სასკოლო დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 400.000 მოსწავლემ, ხოლო მეორე ეტაპში 135 ათასმა მოსწავლემ, რომელთაგან ადგილობრივი ყიურისა და რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლების მიერ რეკომენდაცია გაეწიათ რესპუბლიკურ დასკვნით მესამე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად კოლექტივებს 14 ათასი მოსწავლის შემადგენლობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ერთობლივი დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში დროულად შექმნეს საორგანიზაციო კომიტეტები, ყიური და ადგილობრივი დათვალიერებებიც, ზოგიერთი გა-



მონაკლისის გარდა, ზუსტად გათვალისწინებული გრაფიკით ჩატარდა. რაიონული და საქალაქო დათვალიერებების მაღალ დონეზე განიზებისა და ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს განათლების განყოფილებებმა და კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა, დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ატარებდნენ პარტიის რაიონული კომიტეტები და სახალხო დემუტატთა საბჭოები, რომელნიც ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდნენ საორგანიზაციო კომიტეტებსა და ყიურის. რიგ ქალაქებსა და რაიონებში მოსწავლეთა თვითმოქმედების დათვალიერება ხელოვნებისა და ბავშვთა შემოქმედების ნამდვილ ზეიმად იქცა.

ოლიმპიადის ჩატარების საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს, ზუგდიდის კომკავშირის საქალაქო, ცხაკაიას, წულუკიძის, ზუგდიდის, ახმეტის და სხვა რაიონული კომიტეტები. დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩაატარეს ადგილობრივი ოლიმპიადები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის აო, თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, ზუგდიდის, მახარაძის, ლენტეხის და სხვა ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა.

ოლიმპიადამ დაგვანახა, რომ ტრადიციულ საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებთან ერთად ძალზე დიდი ყურადღება ეთმობა ხელოვნების დარგის ისეთ სახეობებს როგორცაა: საბავშვო ოპერა, ოპერეტა, დრამატული კოლექტივები, თოჯინური სპექტაკლები, ფერწერა, გამოყენებითი ხელოვნება, ვოკალი, ხალხურ საკრავთა, სასულე, კამერული ორკესტრები, ვიტარის ანსამბლები, საესტრადო ყანრი, თანამედროვე საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და მრავალი სხვა. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ საგრძნობლად გაფართოვდა საგუნდო-სამემსრულებლო რეპერტუარი, ხალხურ სიმღერებთან ერთად მოსწავლეები აღმაფრენით მღეროდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, სიმღერებს პარტიასზე, კომკავშირზე, მუშათა კლასზე და კოლმეურნე გლეხობაზე, ჩვენ სახელოვან აწმყოსა და მომავალზე, დიდი ადგილი ქონდა დათმობილი საგუნდო კლასიკას—გამომდინარე ასაკობრივი თვისებების გათვალისწინებით.

სიმღერის შესრულების დახვეწილი მანერით, ხარისხით, ბგე-



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
 და განათლების, უმაღლესი სკოლისა და საზოგადოებრივი  
 დაფინანსებლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური  
 კომიტეტის პრეზიდიუმის 1979 წლის 25 ოქტომბრის

**გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1979 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების  
 მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ

კოლეგია და პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1979 წელს ზოგად-  
 საგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციამ მაღალ  
 იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ-პედაგოგიურ დონეზე ჩაი-  
 არა, რაც განაპირობა სკოლებისა და სახალხო განათლების ორგა-  
 ნოების, პროფკავშირული ორგანიზაციების მიზანდასახულმა და  
 გეგმაზომიერმა მუშაობამ, ამ ღონისძიებისადმი პარტიული ორგა-  
 ნიზაციების ხელმძღვანელობამ და მასში უშუალო მონაწილეობამ.

ატესტაციის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთ-  
 ვე საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები.

ატესტაციის მზადებისა და ჩატარების საქმეში სახალხო განათ-  
 ლების ორგანოები ხელმძღვანელობდნენ ზემდგომი ორგანოების  
 შესაბამისი დადგენილებით და, აგრეთვე სსრკ განათლების სამი-  
 ნისტროს დადგენილებებითა და მითითება-რეკომენდაციებით.

მიმდინარე წელს ატესტაცია უნდა გაეკეთა 23.362 მასწავლე-  
 ბელს, სხვადასხვა მიზეზით ატესტაცია არ გაუკეთა 6722 კაცს. მათ  
 შორის: მოცემულ სკოლაში მუშაობის ერთ წელზე ნაკლები სტაჟის  
 მქონე 946 მასწავლებელს; 1891 ახალგაზრდა სპეციალისტს; დეკრე-  
 ტულ შვებულებაში მყოფ 578 ქალს; 851 ქალს, რომელთაც ყავთ  
 ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, ხანგრძლივ მკურნალობაზე ყოფნის  
 გამო 165 მასწავლებელს; 72 პენსიონერ მასწავლებელს, რომლე-  
 ბიც განსაზღვრული ვადით არიან მოწვეული სკოლაში სამუშაოდ,  
 და იმ სკოლების 1784 მასწავლებელს, რომელთა ხელმძღვანელები  
 სულ ერთი წელია, რაც მუშაობენ. ამასთან, თხოვნით ატესტაციი-  
 საგან გათავისუფლების შესახებ სკოლებსა და სახალხო განათლე-



სებები დაიმსახურეს მცხეთის, გაგრის მე-4 საშუალო სკოლებს და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სასულე ორკესტრებმა, აგრეთვე სასახლის კამერულმა ანსამბლმა და გიტარების კვინტეტმა.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი მონდომება და ერთუზიანობა, რომელიც რესპუბლიკის რიგი სკოლების კოლექტივებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობამ გამოიჩინა ხელოვნების ისეთი დიდი და რთული დარგისადმი, როგორიცაა საოპერო ხელოვნება. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა სოხუმის მე-5, ხაშურის რკინიგზის მე-4, ხობის მე-2 საშუალო სკოლების, ფოთის სკოლა-ინტერნატის და თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის საოპერო დასებმა (ხელმძღვანელები მ. გუგუსიანი, გ. რატიანი, თ. ჟვანია, ო. ქობულაიანი, გ. იაკობიძე, ს. ლაზარაშვილი, ლ. ლურსმანაშვილი, პ. ბოჭგუა, გ. კეშელავა, რ. ქართველიშვილი, მ. კინწურაშვილი, ა. კუტალეიშვილი, ჯ. დანელია, შ. თოდუა, ვ. ნიკოლაძე, გ. სებისკვერიძე, მ. ჩახავა, რ. ხორავა, ე. შალამბერიძე, ხ. სინარულიძე).

მაღალი დონით აღინიშნა ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებელი რიგი კოლექტივები. ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელი თვისებებითა და თავისებურებებით, მოძრაობებისა და ილეთების შესრულების სისწორით, ბავშვური სილალითა და უშუალოდით, დადგმის მრავალფეროვნებით ყიურის საუკეთესო შეფასებები დაიმსახურეს თბილისის 123-ე, 124-ე, 126-ე, და 147-ე, ქუთაისის მე-2, სოხუმის 1-ლი და მე-10, გალის 1-ლი, ბათუმის 1-ლი, მე-2, 21-ე, 22-ე, ქობულეთის 1-ლი, ზუგდიდის მე-2, ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის და კახათის გახანგრძლივებული, ლენტეხის, ამბროლაურის მე-2, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის, მახარაძის მე-2, წალენჯიხის მე-2, ჩოხატაურის 1-ლი, ლანჩხუთის 1-ლი, ტყიბულის მე-2, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის, ტყვარჩელის მე-5, აჭარის ასსრ შუახევის, ბათუმის მე-4, ზუგდიდის მე-14, თელავის მე-4, თელავის რაიონის სოფელ კისისხევის, ჩოხატაურის მე-2, გორის მე-6, ახმეტის 1-ლი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის, მიაკოვსკის ეგ. ნინოშვილის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის, ქარელის მე-2, აბაშის მე-2 საშუალო სკოლების, სამხრეთ





ოსეთის ა/ო, ჯავის სკოლა-ინტერნატის, თიანეთის რვაწლიანი სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და ჯგუფებმა (ქორეოგრაფები ნ. კაბანაძე, ე. სიმონიშვილი, ჭ. ბოხუა, თ. ქორეოლიანი, ჯ. რეხვიაშვილი, მ. ზივზივაძე, გ. ბალახაშვილი, გ. ჩახავა, გ. ჭკადუა, თ. ბეჟანიძე, ტ. მყავია, ჯ. ჩიჩუა, რ. ბულია, ე. ნადარეიშვილი, მ. ბენდელიანი, ე. სურგულაძე, ჯ. დუნდუა, ა. გვარამაძე, ლ. გვარამაძე, გ. ვფსია, ზ. ჯიბუტი, რ. დვალი, გ. ოქრუაშვილი, ი. რიგვავა, მ. ქათამაძე, ე. გუჯაბიძე, გ. ჭკადუა, ზ. მურველიშვილი, ო. ფეიქრიშვილი, ნ. ოქრუაშვილი, თ. ვადაჭკორია, დ. ჯაში, ნ. ლაშხი, ა. გაგნიძე, ბ. გვასალია, თ. ბავნიძე, თ. მემარნიშვილი, რ. ბულია, ზ. კობერიძე, გ. ჩოჩია, ხ. გავლოვეი, ნ. მენთეშაშვილი). აღნიშნულ კოლექტივებში ცეკვისა და მუსიკის ხალხურ ხასიათთან ერთად დაცული იყო ყველა კუთხის კოსტუმისათვის დამახასიათებელი ნიშანი, მხატვრულად, სადად და მოხდენილად გაფორმებული. სანახაობრივად საინტერესოდ, მრავალფეროვანი პროგრამით, შესრულების მაღალი ოსტატობა გამოავლინეს ქართული, საბჭოთა და მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, მოსწავლეებმა: ი. მაჭავარიანმა და შ. სიფროშვილმა (თბილისის მე-100 საშუალო სკოლა), ლ. უგულაევამ (თბილისის 102-ე საშუალო სკოლა), ლ. ონიანმა (ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა), გ. უშხვანმა (ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა), ი. ნორაკიძემ და თ. ცაგურიამ (სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა), დ. დათიკოევამ და ე. თედევემა (ზნაურის საშუალო სკოლა) ა. თუაევმა (ცხინვალის მე-11 საშუალო სკოლა), ლ. ხოხაშვილმა, ნ. ცინცაძემ და გ. დავითურმა (კასპის 1-ლი საშუალო სკოლა), ბ. პეტრიაშვილმა და თ. გეგელაშვილმა (გორის მე-9 საშუალო სკოლა), გ. ლორთქიფანიძემ და ზ. ოტიაშვილმა (ახმეტის მე-2 საშუალო სკოლა) და სხვა.

რესპუბლიკის რიგი რაიონებისა და ქალაქების საშუალო სკოლებში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ვოკალური ხელოვნების განვითარების საქმეს, საინტერესო ვოკალური მონაცემები გამოავლინეს და სპეციალისტების ყურადღება მიიქციეს ლ. აღანიამ (თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ლულუნაძემ და ს. ჭოხონელიძემ (თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლა), ლ. სიხარულიძემ (თბილისის 51-ე საშუალო სკოლა), მ. ანდლულაძემ (ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა), მ. დოლიძემ (სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლა),

ნ. ბაკურაძემ (სოხუმის მე-5 საშუალო სკოლა), გ. ურიდიამ (სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა), დ. რაფავამ და კ. ჩხეტიანმა (ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. ქირიამ (ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლა), გ. ფუტყარაძემ (ზუგდიდის რ-ნის სოფ. რუხის საშუალო სკოლა), ნ. მიქაძემ (წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლა), მ. ვასაძემ (ფოთის სკოლა-ინტერნატი), ე. თოლორდავამ (გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის საშუალო სკოლა). ცხადია ის მაღალი მხატვრული დონე, რომელიც ამ მოსწავლეთა შესრულებაში აღინიშნა, მათთან პედაგოგების სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX რესპუბლიკური ოლიმპიადის ხასიათდებოდა ქანობრივი მრავალფეროვნებით. სწორედ ამის დამადასტურებელია ის, რომ აქ წარმოდგენილი იქნა მრავალი საინტერესოდ გადაწყვეტილი დრამატული და თოჯინური სპექტაკლები, სპექტაკლების ერთი ნაწილი დადგმული და გაფორმებული იყო თვით საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ.

საოლიმპიადო ქიურის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად იქნა ცნობილი თბილისის 55-ე, ქუთაისის 28-ე, სოხუმის მე-18, თბილისის მე-2 გახანგრძლივებული, თბილისის 49-ე, ქუთაისის 32-ე, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის, ქუთაისის მე-6, ზესტაფონის მე-2, ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლების და მაიაკოვსკის და გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების დრამატული და თოჯინური თეატრალური კოლექტივები. მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობები გამოამჟღავნეს როგორც თოჯინებისა და სათამაშოების დამზადებაში, ისე სპექტაკლების მხატვრულ და მუსიკალურ გაფორმებაშიც, ისინი საუცხოოდ ფლობენ თოჯინების ტარების ტექნიკას, მეტყველების იმიტაციას და სხვა სცენურ ხერხებს. კარგი მონაცემები, მაღალმხატვრულად კითხვის უნარი და შესაძლებლობანი გამოავლინეს ნ. ზამბახიძემ და მ. ჩიქობავამ (თბილისის მე-2 გახანგრძლივებული საშუალო სკოლა), მ. კუპატაძემ (თბილისის მე-4 საშუალო სკოლა), მ. გოგოლაძემ (თბილისის 24-ე საშუალო სკოლა), ლ. ბერაძემ (ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ხვედელიძემ (გალის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. წულუკიძემ (გორის 1-ლი საშუალო სკოლა), დ. ბალუაშვილმა (სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლა), ნ. ბერიშვილმა (თბილისის მე-4 სა-



შუალო სკოლა), თ. ჩუბინიძემ (თბილისის მე-6 საშუალო სკოლა),  
 ნ. სიხარულიძემ (თბილისის 111-ე საშუალო სკოლა), მ. ბეგაშვილ-  
 მა (თბილისის 129-ე საშუალო სკოლა), ს. გრიცენკომ (სოხუმის  
 მე-3 საშუალო სკოლა), თ. მამულაძემ (ბათუმის მე-9 საშუალო  
 სკოლა), ნ. კლდიაშვილმა (ვორის რაიონის სოფელ ხიდისთავის სა-  
 შუალო სკოლა), რ. და შ. ქადაგიძეებმა (ახმეტის რაიონის სოფელ  
 ზემო ალვანის საშუალო სკოლა), მ. წმინდაშვილმა (ყვარლის რაიონის  
 სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლა), მ. წიკლაურმა (წითელ-  
 წყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლა), ც. ქისტა-  
 ურმა (წითელწყაროს რაიონის სოფელ ქედის საშუალო სკოლა),  
 მ. ხოფერიამ (ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლა), მ. ქერაულმა (თიანეთის  
 რაიონის სოფელ ღულულების საშუალო სკოლა), ბ. ბაღსო-  
 ლიანმა (თეთრიწყაროს საშუალო სკოლა) და სხვ.

ოლიმპიადა დამთავრდა. ქუთრიმ შეაჯამა შედეგები მისი გადა-  
 წყვეტილებით:

ოქროს მედლებით და პირველი ხარისხის დიპლომებით და-  
 ჯილდოვდა 51 სასკოლო მხატვრული კოლექტივი, 74 ხელმძღვანე-  
 ლი, 49 ინდივიდუალური შემსრულებელი, 623 სოლისტი.

ვერცხლის მედლებით და მეორე ხარისხის დიპლომებით და-  
 ჯილდოვდა 55 მხატვრული კოლექტივი, 74 ხელმძღვანელი, 48 ინ-  
 დივიდუალური შემსრულებელი, 390 სოლისტი.

ბრინჯაოს მედლებით და მესამე ხარისხის დიპლომებით დაჯილ-  
 დოვდა 96 კოლექტივი, 124 ხელმძღვანელი, 36 ინდივიდუალური  
 შემსრულებელი, 467 სოლისტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაცეთდეს დასკვ-  
 ნა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონები და საშუალო  
 სკოლები სისტემატურ მუშაობას ატარებენ მოსწავლე-ახალგაზრ-  
 დობასთან მათი ესთეტიკური დონის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამასთან ერთად, მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების IX  
 რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ დაგვანახვა ის ნაკლოვანი და ჩრდი-  
 ლოვანი მხარეები, რაც ჯერ კიდევ ფართოდ არის ფეხმოკრძედილი  
 მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებში. ყველაზე მტკივნე-  
 ულ საკითხად რჩება კადრების საკითხი. რესპუბლიკის თითქმის ყვე-  
 ლა რაიონის სკოლა განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების ნაკ-  
 ლეობას. მთელ რიგ რაიონებში არ არის ადგილობრივი ქორეოგრა-

ფიული კადრები: ლობტარები, რეჟისორები, მხატვრები, განსაკუთრებით კი მხატვრული კითხვისა და ხალხურ საკრავთა სპეციალისტები. სწორედ ოლიმპიადის ჩატარებამ მწვავედ დააყენა მხატვრული კითხვის სპეციალისტთა ნაკლებობის საკითხი, რადგანაც, შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე ჩამორჩენილ სახეობად იყო აქ წარმოდგენილი. გამომჟღავნდა ისიც, რომ მხატვრული აღზრდა ყველა სკოლაში თანმიმდევრულად არ ვითარდება, თვითმოქმედი კოლექტივები მზადდება ნაჩქარევად, არაგვემარჯობიერად, მხოლოდ ოლიმპიადის ჩატარების პერიოდში. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ვერ დაკანონდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადების რეგულარულად ჩატარების სისტემა, რომლის საფუძველზეც ოლიმპიადა უნდა ტარდებოდეს ორ წელიწადში ერთხელ და არა პერიოდულად. სკოლებში ჯერ კიდევ ნაკლებად გვყავს საბალეტო, სახასიათო და სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრეები. მოძმე რესპუბლიკების, მსოფლიო ხალხთა სახასიათო და სიუჟეტური ცეკვები მხოლოდ ზოგიერთი ქორეოგრაფიული ანსამბლის პროგრამას ამრავალფეროვნებდა. ზოგიერთი ქორეოგრაფი კი მოსწავლეებისათვის ტანსაცმლის შეცვლით სახელწოდებას უცვლიდა ცეკვას და მას სიუჟეტურ ცეკვად წარმოადგენდა. ფაქტიურად კი იყო ქართული ხალხური ცეკვები; ასე მაგალითად მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლს პროგრამით უნდა შეესრულებინა სიუჟეტური ცეკვა „ყვავილების ზეიმი“ — მოსწავლეები გამოწყობილი იყვნენ მოკლე შარვლებსა და თეთრ პერანგებში, ეცვათ ყვავილებით მოხატული კაბები, მუსიკის შესავალიც თითქოს იმედს იძლეოდა, რომ ახალი ცეკვის მოწმენი გავხდებოდით, მაგრამ ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეები იყო, ხოლო შინაარსით კი იგი ცუდად შესრულებული ცეკვა „შეჯიბრი“. რიგე კოლექტივები და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები მთელი სერიოზულობით არ მოეკიდნენ ადგილობრივი ოლიმპიადების დროულ და ორგანიზებულ ჩატარებას. იყო მათ მიერვე დადგენილი ვადების არა ერთხელ შეცვლის შემთხვევები. ასე მაგალითად: კასპის რაიონში ოლიმპიადის ჩატარება დანიშნული იყო 27-28 იანვარს, შემდეგ გადმოიტანეს 26 იანვრისათვის, როდესაც ჩვენი წარმომადგენელი ჩავიდა დასასწრებლად ოლიმპიადის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ როდის უნდა ჩაე-

ტარებინათ იგი და შეთანხმდნენ რომ ოლიმპიადა ჩატარდებოდა 20 თებერვალს, შემდეგ ეს რიცხვი შეიცვალა 21 თებერვლით.

ასევე სამჯერ იქნა გადატანილი ოლიმპიადის ჩატარება მცხეთის რაიონში, ორჯერ თეთრიწყაროს რაიონში, სამჯერ საჩხერის რაიონში, ორჯერ ზესტაფონის რაიონში, სამჯერ სამტრედიის რაიონში, ორჯერ ვანის რაიონში, ორჯერ ხაშურის რაიონში, ხოლო წალენჯიხის რაიონში, სანამ განათლების სამინისტრო არ ჩაერია, ვერაფრით ვერ დაადგინეს როდის ჩატარებდნენ ოლიმპიადას. კლიმატური პირობების გამო ოლიმპიადა არ ჩატარებულა ყაზბეგისა და მესტიის რაიონებში, ხოლო ახალციხის რაიონის პოზიცია დღესაც გაურკვეველია.

ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილე კოლექტივების ორგანიზებულად ჩამოყვანა-წყვეანა ევალდებოდა ადგილობრივ რაიონულ ხელმძღვანელობას. საოლიმპიადო შტაბის მიერ კიდევ ერთხელ საბოლოოდ ხელმძღვანელობასთან ერთად დაზუსტებულ იქნა რაიონებიდან ჩამოსასვლელ მოსწავლეთა რაოდენობა, აგრეთვე რეპერტუარი, მაგრამ ზოგი რაიონის განათლების განყოფილებამ არ შეასრულა მითითება და თბილისში განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი მოსწავლე ჩამოიყვანა. ასეთებს მიეკუთვნება აჭარის ასსრ დელეგაცია და ქ. ქუთაისის დელეგაცია.

ადგილი ქონდა აგრეთვე მშობლების მრავლად ჩამოყვანის შემთხვევებს, რაც თავის მხრივ ართულებდა მუშაობას.

რიგი რაიონების ხელმძღვანელები და ქორეოგრაფები არ ასრულებდნენ მითითებას რეპერტუარის მკაცრად დაცვის შესახებ, თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად ჩამოიტანეს ისეთი ნომრები, რომლებზედაც მათ თანხმობა არ ქონიათ და თავიანთი ამგვარი მოქმედებით ხელს უშლიდნენ სარეპერტუარო კომისიასა და ჟიურის.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის და ქორეოგრაფის მოქმედებამ. მათ სურდათ პროგრამის გარეშე ჟიურისთვის ეჩვენებინათ დამატებითი ნომერი. როდესაც მათ ამის შესახებ უარყოფითი პასუხი მიიღეს, თავიანთი უტაქტო მოქმედებით ჩაშლამდე მიიყვანეს აჭარის ასსრ კოლექტივების გამოსვლა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი იმყოფებოდ-





ნენ არაფხიზელ მდგომარეობაში. ასევე პროგრამის გარეშე ნომერში წარმოადგინა ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლის ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ყიურობ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ კოლექტივების ხელმძღვანელები არ დაჯილდოვებულ იყვნენ, რიგი რაიონების მესვეურებმა იმისათვის, რომ უფრო ძლიერად წარმომდგარიყვნენ ყიურის წინაშე, ჩამოიყვანეს გაერთიანებული ნაკრები კოლექტივი. ასეთი იყო ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა, რომლის ქორეოგრაფი არ დაჯილდოვდა.

ოლიმპიადაზე ძალზე სუსტად იქნენ წარმოდგენილი ქ.ქ. რუსთავის, წყალტუბოს, კიათურის, აბაშის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, მარნეულის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს და წალკის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. აქვე უნდა აღინიშნოს ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების უსულგულო დამოკიდებულების შესახებ, რომელმაც მოსწავლეები ჩამოიყვანა თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად და მათ არ ქონდათ ფეხზე ჩასაცემელი ჩუსტები და მოსწავლეები ცეკვავდნენ წინდებში. ეს ფაქტი ვფიქრობთ კომენტარს არ საჭიროებს.

ზემოთქმულ ნაკლოვანებებს გარდა ოლიმპიადა ჩატარდა მაღალ ორგანიზებულად, რაშიც დიდი დახმარება და მხარდაჭერა გვქონდა იმ სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობიდან, სადაც ბავშვები ცხოვრობდნენ. თბილისის ვაჭრობის სამმართველოდან, ტრანსპორტის საქალაქო გაერთიანებიდან, „ინტურისტის“ თბილისის საქალაქო სამმართველოდან, შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოდან და განსაკუთრებით კი პროფკავშირის კულტურის სასახლის დირექციიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გვსურს რამდენიმე საკითხის დაყენება, რომლის გადაწყვეტა ვფიქრობთ მომავალში ხელს შეუწყობს ოლიმპიადის უფრო მაღალ დონეზე ჩატარებას:

1. საჭიროდ ვთვლით მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება ტარდებოდეს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ — რეგულარულად.
2. ყოველწლიურად ტარდებოდეს რაიონული დათვალიერებები.

3. რესპუბლიკურა დათვალიერება სასურველია ტარდებოდეს ივენისის თვის მეორე ნახევარში.

4. სასურველი იქნება საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება კულტურის სამინისტროსთან ერთად რაიონებში რეგულარულად აწუბდეს სემინარებსა და კონსულტაციებს, ქორეოგრაფებისა და ლოტბარებისათვის, რეჟისორებისა და მხატვრული კითხვის სპეციალისტებისათვის.

5. სასურველია დამუშავდეს და დაიგზავნოს რაიონებში სანიმუშო-სარეკომენდაციო რეპერტუარი.

6. წელიწადში ერთხელ ქ. თბილისში ეწუბოდეს შეკრება-სემინარი რაიონის განათლების განყოფილების გამგეების, სკოლების დირექტორებისა და მხატვრული კოლექტივების ხელმძღვანელებისათვის.

7. გამარჯვებული კოლექტივების ხელმძღვანელებს, რომელთა მოსწავლეებიც წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, ენიჭებოდეთ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ საპატიო წოდება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

0226  
4-9770

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



Об итогах IX Республиканской олимпиады художественной  
самодетельности учащихся

25 октября 1979 года

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР, заслушав и рассмотрев итоги IX Республиканской олимпиады художественной самодетельности учащихся, решает:

1. Справку «Об итогах IX Республиканской олимпиады художественной самодетельности учащихся» разослать Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики.

1.1. смотр художественной самодетельности учащихся проводить традиционно в 2 года раз.

2. Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики:

2.1. глубоко проанализировать итоги олимпиад, проводимых для ликвидации недостатков, имеющихся в работе коллективов художественной самодетельности учащихся. Строго соблюдать требования, предусмотренные Положением об олимпиаде;

2.2. всесторонне способствовать созданию единой системы эстетического воспитания учащихся в общеобразовательных школах, планомерному развитию художественной самодетельности. Добиваться, чтобы подготовка к олимпиаде носила последовательный характер и создавала реальные возможности для развития творческих способностей детей;

2.3. особое внимание уделять вопросам подбора и назначения руководящих кадров кружков художественной самодетельности в общеобразовательных школах. Систематически заботиться о повышении их профессионального уровня и улучшении условий работы.

3. Директорам общеобразовательных школ:

— обеспечить массовость и жанровое многообразие художественной самодеятельности. Создать соответствующие условия для нормальной работы кружков художественного творчества учащихся. Усилить контроль и требовательность к их деятельности, превратить ее в предмет обсуждения педагогических советов.

4. Подготовку и проведение X Республиканской олимпиады учащихся поручить Республиканскому научно-методическому центру воспитательной работы (тов. Т. Мдивани); ему же поручить к 1 марта 1980 года представить конкретный план предварительных подготовительных работ, переработать и подготовить к изданию учебники пения и музыки для I-III классов.

5. Поручить Управлению учебников и библиотечных фондов (тов. Н. Глонти) в издательском плане на 1981 год предусмотреть издание учебника пения и музыки.

6. Обязать Центральный институт совершенствования учителей (тов. М. Дарчия) обеспечить систематическое проведение курсов и семинаров повышения квалификации преподавателей эстетического цикла и руководителей художественных кружков.

7. Отметить низкий уровень подготовки самодеятельных коллективов учащихся общеобразовательных школ г. Рустави, г. Цхалтубо, г. Чиатура, Абашского, Ахалкалакского, Богдановского, Болнисского, Боржомского, Ванского, Гардабанского, Гурджаанского, Дманисского, Марнеульского, Орджоникидзевого, Сагареджойского, Тетрицкаройского районов.

8. За нарушение требований Положения о республиканской олимпиаде, игнорирование решения репертуарной комиссии и самовольие хореографам Батумской средней школы № 2 и Кобулетской средней школы № 1 Т. Киладзе и Г. Тугуши объявить выговор.

9. Поручить редакциям газеты «Сахалхо ганатлеба» и

журнала «Скола да цховреба» систематически освещает опыт работы наилучших творческих коллективов общеобразовательных школ республики, больше внимания уделять проблематичным вопросам художественно-эстетического воспитания учащихся.

10. Отметить плодотворную работу Республиканского дворца пионеров и школьников им. Б. Дзигладзе (тов. Т. Жгенти) в деле подготовки и проведения IX Республиканской олимпиады художественной самодеятельности учащихся.

11. Поставить вопрос:

а) перед Министерством культуры Грузинской ССР, чтобы работа хоров учащихся, драматических кружков и кружков художественного чтения, которыми руководят студенты при общеобразовательных школах, зачитывалась студентам хоро-дирижерского факультета Государственной консерватории им. В. Сараджишвили и режиссерского факультета Театрального института им. Ш. Руставели в учебную практику;

б) перед Государственным комитетом телевидения и радиовещания при Совете Министров Грузинской ССР — пропагандировать опыт наилучших самодеятельных коллективов и индивидуальных исполнителей, выявленных на IX Республиканской олимпиаде художественной самодеятельности учащихся.

12. Поручить Управлению воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР проготовить совместно с Министерством культуры Грузинской ССР и Музыкально-хореографическим обществом вопрос «О дальнейшем улучшении обучения пению и музыке в школах и работы хореографических групп».

13. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

Председатель коллегии

Министр

О. КИНКЛАДЗЕ



## საპარტველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით  
კლასებში სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების  
ღონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში ერთგვარად გაუმჯობესდა სასწავლო-აღ-  
მზრდელიობითი მუშაობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლების დაწყებით კლასებსა და დამოუკიდებელ დაწყებით სკო-  
ლებში. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სასწავლო პროგრამებისა  
და სახელმძღვანელოების სრულყოფის მიზნით. დაწყებით კლასებ-  
ში გაუმჯობესდა რუსული ენის სწავლების მდგომარეობა.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის დამოუკიდებელი დაწყებითი  
სკოლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლა-  
სების მუშაობის პირობები და ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფი-  
ლებს დღევანდელი მოთხოვნებს. სერიოზულ გაუმჯობესებას  
მოითხოვს დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზა. სათანადოდ არ არის დამუშავებული კლასკომპ-  
ლექტებში მუშაობის მეთოდოლოგია, არ ხდება მოწინავე გამოცდილე-  
ბის შესწავლა და განზოგადება. სკოლები არასაკმარისად მარაგდე-  
ბა მეთოდოლოგიური ლიტერატურით და თვალსაჩინოებით, გადამუშავე-  
ბას საჭიროებს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები.

ნაკლოვანებებია კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკო-  
ლების უზრუნველყოფის საქმეშიც; დაწყებითი კლასების 26169  
მასწავლებლიდან 1823-ს ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი  
აქვს დამთავრებული, 927 კი ზოგადი საშუალო განათლებითაა. ჯერ  
კიდევ ხშირია დაწყებით კლასებში არასპეციალისტ მასწავლებელთა  
დანიშვნის შემთხვევები. დაბალია მასწავლებელთა ერთი ნაწილის  
პედაგოგიური მომზადების დონე და მათ მიერ ჩატარებული გაკვე-  
თილების ხარისხი. გაკვეთილის პროცესში სათანადო ყურადღება არ  
ექცევა მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების, ნაზრების  
სხარტად და მკაფიოდ გადმოცემის ჩვევათა გამომუშავებას, წერი-  
თი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებას, მათემატი-  
კური ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის რაციონალური გზე-

ბის ძიებისადმი ინტერესის გაღვივებას, სწავლებაში სახვითო სწავლების, სიმღერა-მუსიკის ნიმუშების გამოყენებას, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მათ მომზადებას.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში შეინიშნება ლიბერალიზმისა და არაობიექტურობის მასიური შემთხვევები, რაც, არცთუ იშვიათად, გამოწვეულია მშობლების ზეგავლენით და მასწავლებლების მათთან არაჯანსაღი ურთიერთობით. ცალკეულ სკოლებში ადგილი აქვს კლასიდან კლასში ისეთ მოსწავლეთა გადაყვანის შემთხვევებს, რომელთაც ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს აეთვისებინათ პროგრამით გათვალისწინებული მასალის მინიმუმიც კი, ზოლო მომდევნო კლასში არ ტარდება მათთან ინდივიდუალური მუშაობა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო დაწყებით კლასებში მოსწავლეებს არ ეძლევათ სათანადო ცოდნის საფუძველი შემდგომ კლასებში სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად. შესაბამისად მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის მაჩვენებელი ციფრობრივი მონაცემები (რომლებიც საკმაოდ მაღალია) ფაქტიურად არ ასახავენ მათი რეალური ცოდნის დონეს, რის შედეგადაც უკვე მეოთხე კლასიდან საგრძნობლად ეცემა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები და მკვეთრად იზრდება მეორეწლიანთა რიცხვი.

დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ სახალხო განათლების განყოფილებები, მათი მეთოდური კაბინეტები, სკოლების ხელმძღვანელები სათანადო შეფასებას არ აძლევენ დაწყებით კლასებში მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელობას შემდგომში მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს დაწყებით კლასებში სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა.
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა:

—სწავლება წარმართონ იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც

დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“. არსებითად აამაღლონ სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტივობა, დამკვირვებლობა და ცნობისმოყვარეობა, ფართოდ გამოიყენონ სწავლების აქტიური ხერხები და მეთოდები, თვალსაჩინო დიდაქტიური მასალები, სწავლების ტექნიკური საშუალებანი;

— ზეპირი და წერითი მუშაობის შეფასებისას იხელმძღვანელონ დადგენილი ნორმებით; არ დაუშვან მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში ლიბერალიზმისა და არაობიექტურობის შემთხვევები;

— გააძლიერონ კლასგარეშე მუშაობა, პერიოდულად მოაწყონ მხატვრული ღონისძიებები. შეაჩვიონ პატარები დამოუკიდებელ კითხვას, თვითმოქმედებას, საჯაროდ გამოსვლას, რისთვისაც გამოიყენონ ლექსების ზეპირად წარმოთქმა, მოკლე სიტყვით გამოსვლა;

— გონივრულად მოფიქრებული პროგრამით შეახვედრონ ბავშვები შრომის გმირებს, ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის გამორჩენილ მოღვაწეებს. მათთან უშუალო შეხვედრები გახადონ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის შთამაგონებელ ძალად.

### 3. სკოლების ხელმძღვანელებმა:

— გააძლიერონ მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარება, ეფექტური გახადონ მეთოდური გაერთიანებების საქმიანობა, სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიური დახელოვნების ღონის ამაღლებით;

— მიიღონ ზომები დაწყებითი კლასების კაბინეტების შესაქმნელად, აღჭურვონ ისინი სათანადო ლიტერატურით, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშობელთა პედაგოგიზაციას. ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიებები, საუბრები აღზრდის, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების

სახალხო განათლების განყოფილებებში, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ;



— ქმედითი დახმარება გაუწიონ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს სარაიონო (საქალაქო) მეთოდგავრთიანებების მუშაობის ორგანიზებისა და სრულყოფის საქმეში;

— დაწყებითი კლასების მასწავლებლებად დანიშნონ მხოლოდ პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულნი, ხოლო ისინი, ვისაც არა აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება, მაგრამ ეწევიან პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას, ჩააბან უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში;

— დაწყებითი კლასების მასწავლებლების მეთოდური დახმარების მიზნით შეარჩიონ რაიონში (ქალაქში) საყრდენი სკოლები, დააკომპლექტონ ისინი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, აღჭურვიონ დაწყებითი კლასების კაბინეტები თანამედროვე სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაზრისით-დიდაქტიკური მასალებით, რათა გადააქციონ ეს სკოლები დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობის ცენტრად.

5. აღზარდოს ასრ განათლების სამინისტრომ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ;

